42(0ЖЖ)
ჩ-981

ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის ენისა
და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ზურაბ ჩხიკვაძე

ინგლისურენოვანი ტერმინოლოგიის სწავლება არაენობრივ ფაკულტეტებზე (ტექნიკური და ეკონომიკური ტერმინების მასალაზე)

13. 00. 02 – სწავლების მეთოდიკა

პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი
2005

ნაშრომი შესრულებულია ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა ეროვნულ ინსტიტუტში

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათელა დოღონაძე
პედაგოგიკის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

ოფიციალური ოპონენტები: მანანა ქუთელია
პედაგოგიკის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი
13.00.02
ირინე ჩიბურდანიძე
პედაგოგიკის მეცნიერებათა
კანდიდატი, დოცენტი
13.00.02

დისერტაციის დაცვა შედგება 2005 წლის 23 ივნისს 14 საათზე ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს **(P 10.01. N 1)** სხდომაზე.
მისამართი: 0162, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №45

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

ავტორეფერატი დაიგზავნა „20/V“ 2005 წ.

ბიბლიოთ... ...ინსტიტუტი

სადისერტაციო საბჭოს
სწავლული მდივანი,
ფილოსოფიის მეცნიერებათა
კანდიდატი, პროფესორი: ლ. გვასალია

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

— 1990 —

თანამედროვე ადამიანი ყოველდღიური საქმიანი კომუნიკაციისას, ზოგადლიტერატურულ ენასთან ერთად სულ უფრო ხშირად გამოიყენებს სპეციალურ ლექსიკას პოლიტიკის, ეკონომიკის, ტექნიკისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგებიდან.

სახელმწიფოთა შორის მზარდი საავჭრო-ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური და სხვა სახის ურთიერთობების დროს, უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა პროფესიული ხასიათის ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლამ უცხოურ, განსაკუთრებით კი ინგლისურ ენაზე. დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მისი ოპტიმიზაციის ერთ-ერთ პირობას ტერმინოლოგიის სწორად გამოყენება წარმოადგენს, რაც სპეციალურ სწავლებას საჭიროებს.

ტერმინოლოგიის თეორიული და პრაქტიკული პრობლემებისადმი ინტერესი დღითიდღე იზრდება. ენათმეცნიერებაში დიდი ყურადღება ექცევა ტერმინოლოგიასთან დაკავშირებულ კვლევებს. ეს კანონზომიერია, რადგან კარგად განვითარებული, მოწესრიგებული ტერმინოლოგია, რომელიც ადეკვატურად ასახავს ზოგადი და სათანადო დარგის ცნებათა სისტემას, აუცილებელ იარაღს წარმოადგენს სამეცნიერო, პრაქტიკული და სასწავლო აქტივობისათვის. ამ იარაღის სრულყოფაზე დიდად არის დამოკიდებული სპეციალური ტექნოლოგიების წარმატება ცალკეულ ქვეყნებსა და საერთაშორისო თანამშრომლობაში.

სამწუხაროდ, დღემდე არც ერთი უმაღლესი სასწავლებლის უცხოური ენის პროგრამა სწავლების შინაარსში არ გამოყოფს სტუდენტის ტერმინოლოგიურ მომზადებას მომავალი პროფესიული მოღვაწეობის გათვალისწინებით. სამაგიეროდ, დარგობრივი სპეციალისტები აყენებენ საკითხს, შეიქმნას ტერმინოლოგიის სრულყოფისა და მისი ადეკვატური სწავლების ქსელი. ისინი ამას ასაბუთებენ მეცნიერების ბევრი ახალი დარგისა და სპეციალობის შექმნით. სპეციალური ლიტერატურის მნიშვნელოვანი ზრდა მოითხოვს ტერმინოლოგიის სტანდარტიზაციას სახელმწიფო მასშტაბით.

ტერმინოლოგიის ფლობა როგორც მშობლიურ, ასევე უცხოურ ენაზე ფრიად მნიშვნელოვანია სტუდენტთა პროფესიულ და ენობრივ მომზადებაში. **საკვლევი თემის აქტუალურობა** განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ტერმინოლოგიის სწავლების მეთოდიკა